

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №386

2025 წლის 27 აგვისტო

ქ. თბილისი

„გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 26 ივნისის №795-IIმს-XIმპ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/01/2014, 300160070.10.003.017608) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ტექნიკური რეგლამენტი – „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართით გათვალისწინებული დამაბინძურებელი ქიმიური ნივთიერებების ჩამონათვალისა და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების შესახებ (დანართი №6).“.

2. დანართ №5-ის შემდგომ დაემატოს თანდართული შინაარსის დანართი №6.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

„დანართი №6

ტექნიკური რეგლამენტი – „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართით გათვალისწინებული დამაბინძურებელი ქიმიური ნივთიერებების ჩამონათვალისა და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების შესახებ

1. ტექნიკური რეგლამენტის მიზანია „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართით გათვალისწინებული დამაბინძურებელი ქიმიური ნივთიერებების ჩამონათვალისა და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების განსაზღვრა.

2. დამაბინძურებელი ქიმიური ნივთიერებების ჩამონათვალი და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში მათი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციებია:

№	ქიმიური ნივთიერების დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მგ/ლ (ზღვ)
1	ამონიუმის აზოტი	0.39
2	ალუმინი	0.5
3	ბარიუმი	0.1



4	ბერილიუმი	0.0002
5	ბორი	0.5
6	დარიშხანი	0.05
7	ვანადიუმი	0.1
8	ვერცხლისწყალი	0.0005
9	ვოლფრამი	0.005
10	თუთია	1
11	კადმიუმი	0.001
12	კობალტი	0.1
13	კაპროლაქტამი	1
14	მანგანუმი	0.1
15	მოლიბდენი	0.25
16	ნიტრატები	45
17	ნიტრიტები	3.3
18	ნიკელი	0.1
19	რკინა	0.3
20	სელენი	0.001
21	სპილენძი	1
22	სულფატები	500
23	სტიბიუმი	0.05
24	ტალიუმი	0.0001
25	ტიტანი	0.1
26	ტყვია	0.03
27	ტელური	0.01
28	პოლიფოსფატები	3.5
29	ფტორიდები	0.05
30	ქლორიდები	350
31	ქრომიCr <sup>(+6)</sup>	0.1
32	ციანიდები	0.1
33	ეთილენი	0.5



34	სზან (დეტერგენტები)	0.1
35	მეთანოლი	3
36	ჯამური ნახშირწყალბადები	0.3
37	ფორმალდეჰიდი	0.05
38	აცეტონი	2.2
39	ბუთილის სპირტი	0.1
40	ფენოლები	0.001
41	ბენზოლი	0.5
42	დინიტროტოლოლები	0.5
43	დინიტრობენზოლები	0.5
44	საერთო ფოსფორი	2
45	საერთო აზოტი	15

## შენიშვნა:

- ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობებსა და კონკრეტული საქმიანობისთვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე შეთანხმებულ ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ ჩაშვების ნორმებს (შემდგომში – ზღვრული ნორმები) შორის განსხვავების შემთხვევაში (ასეთის არსებობისას), ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის გამოიყენება შეთანხმებული ზღვრული ნორმების მნიშვნელობები, ხოლო ასეთი შეთანხმებული ზღვრული ნორმების არარსებობისას ან/და იმ საქმიანობებისთვის, რომელთაც არ უდგინდება ზღვრული ნორმები, გამოიყენება ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები.
- ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“.

